

ირაკლი მჭედლიშვილი, დავით გელოვანი, ნატალია გარუჩავა,
რუსუდან ჩოჩიშვილი, თორნიკე გრძელიძე

B ჰეპატიტი საქართველოში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2023.04.32>

IRAKLI MCHEDLISHVILI, DAVIT GELOVANI, NATALIA GARUCHAVA,
RUSUDAN CHOCHISHVILI, TORNIKE GRDZELIDZE

HEPATITIS B IN GEORGIA

Tbilisi State Medical University, Department of epidemiology and biostatistics

SUMMARY

In recent years, Georgia has seen a decrease in the proportion of hepatitis B in the total incidence of viral hepatitis. Especially noticeable decrease distribution of acute forms of viral hepatitis. In 2016-2021, 97.3% of viral hepatitis cases were chronic hepatitis B and chronic hepatitis C. There was also a significant decrease in the incidence of acute hepatitis B. In 2011-2016, the average incidence of acute hepatitis B was 3.5 per 100,000 population. In 2016-2021, this figure decreased to 1.25.

We believe that the main reason for the significant decrease in the incidence of acute hepatitis B, along with other preventive measures, is the successful introduction of routine vaccination against hepatitis B in the country.

Keywords: Hepatitis B, Georgia, incidence

ვირუსული ჰეპატიტები ინფექციური პათოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა მთელს მსოფლიოში. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია B ჰეპატიტს, რაც განპირობებულია მისი უაღრესად ფართო გავრცელებით და მძიმე მიმდინარეობით. 2019 წელს მსოფლიოში ამ დაავადებით და მისგან გამონეული შედეგებით დაახლოებით 820 ათასი ადამიანი გარდაიცვალა, პირველ ყოვლისა B ჰეპატიტის ვირუსით გამონეული ციროზით და ღვიძლის კიბოთი [3,7]. ეს უკანასკნელი კი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და გავრცელებული ონკოლოგიური დაავადებაა, რომლის ძირითადი გამომწვევი სწორედ B ჰეპატიტის ვირუსია [2]. ამასთან, დღეისათვის მსოფლიოში დაახლოებით 300 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, რომლებიც ქრონიკული B ჰეპატიტით არიან დაავადებულნი. ყოველწლიურად კი 1.5 მილიონი ადამიანი ავადდება ამ დაავადებით. B ჰეპატიტი მნიშვნელოვანი ინფექციური დაავადებაა საქართველოსთვისაც.

კვლევის მიზანს შეადგენდა B ჰეპატიტის გავრცელების შესწავლა საქართველოში თანამედროვე ეტაპზე.

კვლევის მასალა და მეთოდები: დასახული მიზნის შესასრულებლად შესწავლილ იქნა B ჰეპატიტის ხვედრითი წილი ვირუსული ჰეპატიტებით ავადობაში საქართველოში 2011-2021 წლების მონაცემებით. ასევე მისი ავადობის დინამიკა აღნიშნულ წლებში, ისევე, როგორც მწვავე B ჰეპატიტით დაავადებულთა ასაკობრივი სტრუქტურა 2016-2021 წლებში. კვლევის მასალები აღებულია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა აღწერითი ეპიდემიოლოგიური მეთოდის გამოყენებით.

მიღებული შედეგები და მათი განსჯა: ვირუსული ჰეპატიტების ცალკეული ნობოლოგიური ერთეულების ხვედრითი წილი საქართველოში 2011-2021 წლებში. ნაჩვენებია ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ საანალიზო პერიოდში ყველაზე გავრცელებული იყო ქრონიკული C ჰეპატიტი, რომელზეც მთელი რეგისტრირებული შემთხვევების ორ მესამედზე მეტი - 71.8% მოდის. მეორე ადგილზეა ქრონიკული B ჰეპატიტი - 23.7%, რაც შეეხება მწვავე ვირუსულ ჰეპატიტებს, მათზე შემთხვევების მხოლოდ 4.1% მოდის. მწვავე C ჰეპატიტზე - 2%, მწვავე B ჰეპატიტზე - 1.5% და A ჰეპატიტზე - 0.6%. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჟამად საქართველოში, როგორც წესი, ვირუსული ჰეპატიტების ქრონიკული ფორმები არის გავრცელებული, რომლებზეც გამოვლენილი შემთხვევების 95.8% მოდის. მწვავე ფორმების გავრცელება კი საკმაოდ დაბალ დონეზეა.

ცხრილი. ვირუსული ჰეპატიტების ცალკეული ნობოლოგიური ერთეულების ხვედრითი წილი საქართველოში 2011-2021 წლების მონაცემებით


| | 2011-2015 წწ | 2016-2021 წწ | 2011-2021 წწ |
|-------------------------------|--------------|--------------|--------------|
| A ჰეპატიტი | 1,6 | 0,1 | 0,6 |
| მწვავე B ჰეპატიტი | 3,0 | 0,7 | 1,5 |
| ქრონიკული B ჰეპატიტი | 30,5 | 20,0 | 23,7 |
| მწვავე C ჰეპატიტი | 3,2 | 1,3 | 2,0 |
| ქრონიკული C ჰეპატიტი | 61,6 | 77,3 | 71,8 |
| არადიფერენცირებული ჰეპატიტები | 0,1 | 0,6 | 0,4 |

ამასთან, თუ შევადარებთ 2011-2015 და 2016-2021 წლების მონაცემებს, ვნახავთ, რომ ბოლო წლებში კიდევ უფრო შემცირდა მწვავე ვირუსული ჰეპატიტების ხვედრითი წილი ქრონიკული ფორმების მატების ფონზე. ამჟამად, შემთხვევების უკვე 97.3% მოდის მათზე. ყურადსაღებია ისიც, რომ საანალიზო პერიოდის მეორე ნახევარში C ჰეპატიტით დაავადებულთა ხვედრითი წილი 61.6%-დან 77.3%-მდე გაიზარდა, რაც 2015 წლიდან საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შედეგი უნდა იყოს. რაც შეეხება B ჰეპატიტს, მისი წილი ვირუსული ჰეპატიტებით ავადობაში 30.5%-დან 23.7%-მდე შემცირდა. აღნიშნული ვფიქრობთ განპირობებული უნდა იყოს ქვეყანაში B ჰეპატიტის სანინაალმდეგო გეგმიური აცრების განხორციელებით.

უნდა ითქვას, რომ B ჰეპატიტის ვაქცინა ერთ-ერთი ყველაზე იმუნოგენური და დაბალი რეაქციულობის ვაქცინაა და იმუნიტეტი რამდენიმე ათეულ წელს გრძელდება. შემთხვევითი არ არის, რომ მისი გეგმიური სახით გამოყენება დაახლოებით 190 ქვეყანაში ხდება. ამასთან, მას წარმატებით იყენებენ სამედიცინო პერსონალის ასაჯრელადაც [4,6]. სწორედ ამ ვაქცინის გამოყენებით იგეგმება ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2030 წლისთვის 2015 წელთან შედარებით დაავადების შემთხვევების 90%-ით შემცირება, რასაც ბევრი ქვეყანა საკმაოდ წარმატებით ახორციელებს [1,5]. საქართველოში B ჰეპატიტის სანინაალმდეგო ვაქცინით აცრების მოცვის მაჩვენებელი 95%-ს აღემატება, რაც ნიშნავს, რომ ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებით ხორციელდება.

ჩვენ შევისწავლეთ მწვავე და ქრონიკული B ჰეპატიტებით ავადობის დინამიკა საქართველოში საანალიზო პერიოდში (სურათი #1).


სურათი #1. მწვავე და ქრონიკული B ჰეპატიტების ავადობის დინამიკა საქართველოში 2011-2021 წლებში (მაჩვენებელი 100 ათას მოსახლეზე)



როგორც აღნიშნულია, B ჰეპატიტით, კერძოდ კი მწვავე B ჰეპატიტით ავადობის დონის კლების წამყვან მიზეზად გეგმიური აცრების ჩატარება მიგვაჩნია, რაც ქვეყანაში 2001 წლიდან ხორციელდება. ამ მოსაზრებას ადასტურებს მწვავე B ჰეპატიტით დაავადებულთა ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლა (სურათი #2).

როგორც #2 სურათიდან ჩანს, მწვავე B ჰეპატიტით ავადობის დონის კლება ქვეყანაში თვალსაჩინოა. თუ 2011-2015 წლებში ავადობის საშუალო მაჩვენებელი 3.5-ის ტოლი იყო 100 000 მოსახლეზე, მეორე პერიოდში ეს რიცხვი 1.25-მდე შემცირდა, ანუ მოხდა ავადობის დონის შემცირება 2.8-ჯერ. რაც შეეხება ქრონიკულ B ჰეპატიტს, ამ დაავადების ავადობის დონე დღესაც მაღალია და კლების ტენდენციით არ ხასიათდება.

სურათი #2. B ჰეპატიტით დაავადებულთა ასაკობრივი სტრუქტურა საქართველოში 2016-2021 წლებში (ხვედრითი წილი %-ში)



როგორც #2 სურათიდან ჩანს, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მწვავე B ჰეპატიტის შემთხვევები ბავშვებში აღარ ფიქსირდება. შემთხვევები ძირითადად 20-29 და 30-59 წლების ასაკობრივ ჯგუფებში ვლინდება, ანუ იმ ასაკობრივ ჯგუფებში, რომლებიც არ არიან აცრილები B ჰეპატიტის სანინაალმდეგო ვაქცინით.

დასკვნები: 1. ბოლო წლებში საქართველოში მცირდება B ჰეპატიტით დაავადებულთა ხვედრითი წილი ვირუსული ჰეპატიტებით ავადობაში. 2. ქრონიკული B ჰეპატიტით ავადობისაგან განსხვავებით, ქვეყანაში აღვილი აქვს მწვავე B ჰეპატიტით ავადობის დონის მნიშვნელოვან კლებას, რაც ჩვენი აზრით, ძირითადად გამომწვეული უნდა იყოს ბოლო 2 ათეული წლის მანძილზე საქართველოში B ჰეპატიტის სანინაალმდეგო გეგმიური აცრების წარმატებით ჩატარებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Block T.M, Chang K.M, Guo J.T. Prospects for the global elimination of hepatitis B. *Annu. Rev. Virol.*, 2021 Sep 29; 8 (1): 437-458. doi: 10.1146/annurev-virology-091919-062728.
2. Chang M.H. Prevention of hepatitis B virus infection and liver cancer. *Recent results Cancer Res.*, 2021; 217:71-90. doi: 10.1007/978-3-030-57362-1_4.
3. Im Y.R, Jagdish R, Leith D et al. Prevalence of occult hepatitis B virus infection in adults: a systematic review and meta-analysis. *Lancet Gastroen. Hepatol*, 2020 Oct; 7(10):932-942.
4. Romano L., Zanetti A.R. Hepatitis B vaccination: A historical overview with a focus on the Italian achievements; *Viruses* 2022 Jul 11; 14(7):1515. doi: 10.3390/v14071515.
5. Surofchy D.D., Shieh N., Tam I. Evolving Consideration for Choice of Hepatitis B Vaccine. *Amer. Mang. Care*, 2023 Feb; 29(1):S3-514. <https://doi.org/10.37765/ajmc.2023.89325>
6. Trevisan A., Mason P., Nicolli A. et al. Future Healthcare Workers and Hepatitis B Vaccination. *New Generation. Int J Environ Res Public Health*. 2021 Jul 22; 18(15):7783. doi: 10.3390/ijerph18157783.
7. World Health Organization. Hepatitis B. (accessed on 27 July 2021).

*ირაკლი მჭედლიშვილი, დავით გელოვანი, ნატალია გარუჩავა,
რუსუდან ჩოჩიშვილი, თორნიკე გრძელიძე*

В ჰეპატიტი საქართველოში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
ეპიდემიოლოგიისა და ბიოსტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

რეზიუმე

საქართველოში ბოლო წლებში აღვილი აქვს В ჰეპატიტის ავადობის ხვედრითი წილის შემცირებას ვირუსული ჰეპატიტებით საერთო ავადობაში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ვირუსული ჰეპატიტების მწვავე ფორმების გავრცელების შესუსტება. 2016-2021 წლებში ვირუსული ჰეპატიტებით დაავადების შემთხვევების 97.3% მოდის ქრონიკულ В და ქრონიკულ С ჰეპატიტებზე. ასევე აღინიშნება მწვავე В ჰეპატიტით ავადობის საგრძობი კლება. 2011-2016 წლებში ამ დაავადებით ავადობის საშუალო მაჩვენებელი შეადგენდა 3.5-ს 100 ათას მოსახლეზე. 2016-2021 წლებში კი ეს მაჩვენებელი 1.25-მდე შემცირდა.

მწვავე В ჰეპატიტით ავადობის დონის მნიშვნელოვანი კლების ძირითადი მიზეზი სხვა პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად, ვფიქრობთ, რომ არის ქვეყანაში В ჰეპატიტის სანინააღმდეგო გეგმიური აცრების წარმატებით განხორციელება.

*ИРАКЛИЙ МЧЕДЛИШВИЛИ, ДАВИТ ГЕЛОВАНИ, НАТАЛИЯ ГАРУЧАВА,
РУСУДАН ЧОЧИШВИЛИ, ТОРНИКЕ ГРДЗЕЛИДZE*

ГЕПАТИТ В В ГРУЗИИ

Тбилисский Государственный Медицинский Университет, Департамент Эпидемиологии и Биостатистики, Тбилиси, Грузия

РЕЗЮМЕ

В последние годы в Грузии наблюдается снижение удельного веса заболеваемости гепатитом В в общей заболеваемости вирусными гепатитами. Особенно заметно снижение распространения острых форм вирусных гепатитов. В 2016-2021 годах 97,3% случаев вирусных гепатитов приходилось на хронический гепатит В и хронический гепатит С. Также отмечается значительное снижение заболеваемости острым гепатитом В. В 2011-2016 годах средний показатель заболеваемости острым гепатитом В составил 3,5 на 100 000 населения. В 2016-2021 годах этот показатель снизился до 1,25.

Полагаем, что основной причиной значительного снижения уровня заболеваемости острым гепатитом В, наряду с другими профилактическими мерами, является успешное внедрение в стране плановой вакцинации против гепатита В.

